დანართი №1

ვტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: თეკლე ცუცქირიძე **წევრები:** დიმიტრი ქარსელაძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **212693049**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [x] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
  - [ ] **გეგმიური**
  - [ ] **არაგეგმიური**
  - [x] **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 16 მარტის №314227 სხდომის ოქმის, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 20 მაისის №597449 წერილისა და სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის 2 ივნისის №657549 წერილის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება.

ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება.

დაწესებულებამ, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებით, წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა და გააანალიზა. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა და შეჯერება, განისაზღვრა დამატებით დასაზუსტებელი საკითხები და მომზადდა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი.

მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 ივლისს სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მისამართი: ქ. ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზირი №21). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ამსახველი მასალები, პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობები, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები.

ვიზიტის ფარგლებში ასევე ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრებების შედეგები დეტალურად აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, კერძოდ:

№	წინა ვიზიტის ფარგლებში არსებული ხარვეზის / გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა:	ინფორმაცია შესრულების შესახებ:
3.1.1.4	პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელშეკრულებების შინაარსი სრულად არ ასახავდა პროფესიული სტუდენტის უფლებებს, კერძოდ, არ შეიცავდა სტუდენტის უფლებების მარეგულირებელ ცალკე დებულებას, მაშინ როდესაც სტუდენტის ვალდებულებები დეტალურად იყო განსაზღვრული.	დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახა სტუდენტის უფლებებთან დაკავშირებული დებულებები, რის შედეგადაც ხელშეკრულებების შინაარსი სრულყოფილად არეგულირებს სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს. განხორციელებული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების უფრო მკაფიო დოკუმენტურ ასახვას და შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
4.1.1.2	დაწესებულების თანამშრომლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ არსებული ადამიანური რესურსი სრულად ვერ პასუხობს სამუშაო დატვირთვის მოცულობას. განსაკუთრებით გამოიკვეთა საჭიროება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სასწავლო პროცესის მართვაში ჩართული პირების მიმართულებით, სადაც არსებული რესურსების მოცულობა შესაძლოა დამატებით შეფასებას საჭიროებდეს.	და თანამშრომლებთან ინტერვიურებისას, თანამდებობდივი ინსტრუქციების შესწავლისა და სამუშაო აღწერილობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებამ ჩაატარა დამატებითი ანალიზი ადამიანური რესურსების დატვირთვისა და საჭიროების ფარგლებში და გამოიკვეთა, რომ ფუნქციების ეფექტიანი გადანაწილებისა და სამუშაო დატვირთვის შესაბამისი მართვის მიზნით, დაწესებულებამ განახორციელა ადამიანური რესურსების გაძლიერების ღონისძიებები, მათ შორის გაზარდა თანამშრომელთა რაოდენობა და უზრუნველყო დამატებითი კადრების ჩართვა შესაბამის მიმართულებებში. განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის გაუმჯობესებას, პასუხისმგებლობების უფრო თანაბარ განაწილებას და მართვის პროცესების ეფექტიანობის ზრდას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4.1.1.3	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებით და მოიცავდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობას, მათ შორის საკვალიფიკაციო პროცესებთან დაკავშირებულ საქმიანობას. აღნიშნული ფუნქციების გადაფარვა ქმნიდა ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ვერ უზრუნველყოფდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის დამოუკიდებლობასა და ობიექტურ განხორციელებას.	დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები: განახლდა პროფესიული განათლების ცენტრის დებულება, ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სამუშაო აღწერილობები. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები გაიმიჯნა საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობებისგან, რის შედეგადაც გამოირიცხა ინტერესთა კონფლიქტის რისკი და უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის დამოუკიდებელი განხორციელება. ასევე განახლდა საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, რომელშიც ხარისხის მართვის მენეჯერი აღარ მონაწილეობს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცეცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცეცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია როგორც შიდა მარეგულირებელი აქტებით, ისე მათი თანმიმდევრული და ეფექტიანი პრაქტიკული განხორციელებით.

პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს რექტორის 2023 წლის 24 თებერვლის №12/2 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც სრულყოფილად არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსთან დაკავშირებულ ძირითად სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებს. დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე ადგენს სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, შიდა მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების უზრუნველყოფის შესაბამის მექანიზმებს.

აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებასთან, მათ შორის 2024 წლის 11 სექტემბრის №146/ნ ბრძანებით განხორციელებულ ცვლილებებთან.

უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის:

- ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება, რომელიც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით, სასწავლო რესურსებითა და პრაქტიკული სწავლებისთვის აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, ელექტრონული და საინფორმაციო რესურსებით, კომპიუტერული ქსელებითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის;
- პრაქტიკული სწავლების გავლა როგორც უნივერსიტეტში, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში;
- ობიექტური შეფასების მიღების, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი პრინციპით შეისწავლა პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვასთან, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან, შიდა მობილობასა და მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამასთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცედურები მათთვის გასაგები, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია, ხოლო მათი განხორციელება პრაქტიკაში ეფექტიანად მიმდინარეობს. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად აწვდიან მათ ინფორმაციას უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია საკითხებზე დროული რეაგირება და ეფექტიანი კომუნიკაცია.

ექსპერტთა შეფასებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ პროცედურებს. არსებული რეგულაციები და მათი ეფექტიანი პრაქტიკული განხორციელება ქმნის პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის, თანასწორი მოპყრობის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მყარ საფუძველს.

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და პრაქტიკაში ეფექტიანად იყენებენ კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ უფლებათა დაცვის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლის დაწყებამდე უნივერსიტეტი პროფესიული სტუდენტებისთვის სისტემატურად ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს, რომელთა მიზანია სტუდენტების ადაპტაციის ხელშეწყობა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროული და სრულყოფილი მიწოდება. შეხვედრების ფარგლებში განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, უნივერსიტეტში მოქმედი სერვისები, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების გასაჩივრების პროცედურები, სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვისა და ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს როგორც აღნიშნული შეხვედრების სისტემურ ხასიათს, ისე სტუდენტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საორიენტაციო პროცესი არ წარმოადგენს ფორმალურ ღონისძიებას და რეალურად ემსახურება პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში მათ ეფექტიან ინტეგრაციას.

ინტერვიუების ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კარგად იცნობენ მათთვის მინიჭებულ უფლებებსა და დაკისრებულ ვალდებულებებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების, გასაჩივრებისა და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად სარგებლობენ მათით. სტუდენტების განმარტებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული და აკადემიური მხარდაჭერის სისტემა, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა აქვთ დროულად მიმართონ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტში დანერგილი საინფორმაციო და საკონსულტაციო მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სათანადო ინფორმირებულობას, ხელს უწყობს მათი უფლებების ეფექტიან რეალიზებას და ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ, გამჭვირვალე და მხარდამჭერ საგანმანათლებლო გარემოს.

ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტების შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი რეგულირდება რექტორის 2023 წლის 24 თებერვლის №12/2 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების ორგანიზების ძირითად პრინციპებს, გამოყენებულ შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებს, შედეგების გაცნობის პროცედურას და სტუდენტის უფლებას, დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს მიღებული შეფასება. არსებული რეგულაციები შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ქმნის შეფასების პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვის საფუძველს.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს შეფასების სისტემა პრაქტიკაში და რამდენად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა. აღნიშნული მიზნით შესწავლილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიმართა შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში, ისე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მათი განმარტებით, მათთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების კრიტერიუმები, შეფასების განხორციელების წესი და იმ პროცედურების დეტალები, რომლებიც მოქმედებს შეფასების შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იცნობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობას და შესაბამის პროცედურებს, სწავლების პერიოდში აღნიშნული მექანიზმის გამოყენების საჭიროება არ ჰქონიათ. მათი შეფასებით, შეფასების პროცესი მიმდინარეობს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ წესებს. შეფასებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობა, ასევე შეფასების პროცესის პრაქტიკული განხორციელება ადასტურებს, რომ აღნიშნული მექანიზმები ეფექტიანად ფუნქციონირებს და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში (18.02.26) ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი პრინციპით შეისწავლა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელშეკრულებები არ შეიცავდა პროფესიული სტუდენტის უფლებების ამსახველ ცალკე დებულებას, მაშინ, როდესაც სტუდენტის ვალდებულებები დეტალურად იყო განსაზღვრული.

ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული გარემოება პრაქტიკაში არ ქმნიდა სტუდენტების უფლებების რეალიზების პრობლემას. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ფლობდნენ ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, კარგად იცნობდნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ძირითად რეგულაციებს და, საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობდნენ უნივერსიტეტის შიდა აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს განმავითარებელი რეკომენდაციის სახით შესთავაზა, პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულიყო სტუდენტის უფლებების ამსახველი დებულება. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ცვლილება კიდევ უფრო გააძლიერებდა სამართლებრივ სიცხადეს, უზრუნველყოფდა სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის უფრო სრულყოფილ დოკუმენტურ რეგულირებას და ხელს შეუწყობდა სტუდენტის უფლებების დაცვის დამატებით ინსტიტუციურ განმტკიცებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება უზრუნველყოფდა ხელშეკრულებების შინაარსის სრულყოფას, პროფესიული სტუდენტების უფლებების უფრო მკაფიო დოკუმენტურ ასახვას და პრაქტიკის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი პრინციპით შეისწავლა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შეაფასა მათი შესაბამისობა ჩარიცხვის წინაპირობებთან. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტების წინარე განათლება შეესაბამება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების მოთხოვნებს.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

აქტებით დადგენილ წესებთან. ასევე დადასტურდა, რომ არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები ფორმდება მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების სრული დაცვით და გათვალისწინებულია აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებთან დაკავშირებული სპეციფიკური რეგულაციები.

ვიზიტის მიმდინარეობისას უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების განახლებული ნიმუში. წარმოდგენილ დოკუმენტში უფრო სრულყოფილად და დეტალურად არის განსაზღვრული როგორც მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ასევე პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და სამართლებრივი გარანტიები.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სათანადო დაცვას, ხოლო ხელშეკრულების განახლებული რედაქცია კიდევ უფრო აძლიერებს სამართლებრივ სიცხადესა და მხარეთა შორის ურთიერთობის გამჭვირვალობას.

ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების საკითხები რეგულირდება შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საფუძვლებს, მისი მომზადებისა და დამტკიცების პროცედურებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. ამასთან, რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების პერიოდში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება არ წარმოშობილა, შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ინდიკატორი 3.1.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

·აწსუ სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის დებულება. (აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №69 12.02.2024.);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი. (აწსუ რექტორის ბრძანება №12 &2 24.02.2023);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ განხორციელებული ექსტრაკურიკულური აქტივობების შემაჯამებელი ანგარიში-2022-2024 წლები;

· აწსუ და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

· სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

· სოციალური მეწარმეობის უნარების გაძლიერება პროფესიულ სასწავლებლებში - პროექტის ანგარიში;

· გასაუბრების შედეგებით.

· სტუდენტთა გაცნობითი ხასიათის შეხვედრის დამადასტურებელი ოქმები და ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო-მასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მმართველობითი სტრუქტურა და უფლებამოსილებათა განაწილება მკაფიოდ არის განსაზღვრული შიდა მარეგულირებელი აქტებით. უნივერსიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ საფუძვლებს განსაზღვრავს „უნივერსიტეტის დებულება“, ხოლო შიდა ადმინისტრაციული პროცესების წარმართვის წესი რეგულირდება „შინაგანაწესით“.

პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ასახულია „პროფესიული განათლების ცენტრის სტრუქტურასა“ და „პროფესიული განათლების ცენტრის სამუშაო აღწერილობებში“. ადამიანური რესურსების მართვის საკითხები რეგულირდება „აწსუ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების“ და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პერსონალის უფლებამოსილებებისა და მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას.

დოკუმენტაციის ანალიზმა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი მმართველობის სისტემა ეფუძნება ფუნქციების მკაფიო განაწილებასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას. პროფესიული განათლების პროცესის მართვაში ჩართული არიან უნივერსიტეტის რექტორი, პროფესიული განათლების ცენტრი, ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ადმინისტრაციული, ფინანსური და სხვა მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა კოორდინირებულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროცესის ეფექტიან მართვას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტის ორგანიზაციული მოწყობა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესების ეფექტიან სისტემას. პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები მკაფიოდ არის გადანაწილებული შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, ხოლო დოკუმენტურად განსაზღვრული ფუნქციები ხელს უწყობს მართვის პროცესის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების თანმიმდევრულ განხორციელებას.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია ძირითადი საქმიანობის უწყვეტი და ეფექტიანი განხორციელება. კერძოდ, სწავლების პროცესის ორგანიზება, საგანმანათლებლო პროგრამების მართვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, ფინანსური მართვა და მატერიალური რესურსების ადმინისტრირება ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი ერთეულების კოორდინირებული ჩართულობით.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის დებულებებითა და „შინაგანაწესით“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ დაადასტურა, რომ ფუნქციები და უფლებამოსილებები მკაფიოდ არის გამიჯნული, თითოეულ ძირითად პროცესს განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების თანმიმდევრულობასა და სტაბილურობას.

ამასთან, **წინა ვიზიტის ფარგლებში** ჩატარებული ინტერვიურებისას თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ არსებული ადამიანური რესურსი სრულად ვერ პასუხობს სამუშაო დატვირთვის მოცულობას. განსაკუთრებით გამოიკვეთა საჭიროება ხარისხის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამსახურსა და სასწავლო პროცესის მართვაში ჩართული პირების მიმართულებით, სადაც არსებული რესურსების მოცულობა შესაძლოა დამატებით შეფასებას საჭიროებდეს.

მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტისას აღნიშნული საკითხი დამატებით იქნა შესწავლილი და თანამშრომლებთან ინტერვიურებისას, თანამდებობდივი ინსტრუქციების შესწავლისა და სამუშაო აღწერილობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებამ ჩაატარა დამატებითი ანალიზი ადამიანური რესურსების დატვირთვისა და საჭიროების ფარგლებში და გამოიკვეთა, რომ ფუნქციების ეფექტიანი გადანაწილებისა და სამუშაო დატვირთვის შესაბამისი მართვის მიზნით, დაწესებულებამ განახორციელა ადამიანური რესურსების გაძლიერების ღონისძიებები, მათ შორის გაზარდა თანამშრომელთა რაოდენობა და უზრუნველყო დამატებითი კადრების ჩართვა შესაბამის მიმართულებებში. განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის გაუმჯობესებას, პასუხისმგებლობების უფრო თანაბარ განაწილებას და მართვის პროცესების ეფექტიანობის ზრდას.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

წინა ვიზიტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მისთვის განსაზღვრული ფუნქციები მხოლოდ ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებით არ შემოიფარგლება და მოიცავს სხვადასხვა ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესში უშუალო ჩართულობას. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პასუხისმგებლობებში შედის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები; სწავლის შედეგების დადასტურებისა და აღიარების პროცედურებში მონაწილეობა; მობილობის პროცესის ადმინისტრირება; პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული სასწავლო რესურსებისა და ლიტერატურის განხილვაში მონაწილეობა და მათი სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის შეფასება (ვალიდაცია), ასევე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვალიფიკაციისა და მიღწეული ცოდნისა და უნარების დადასტურების პროცესში ჩართულობა უფლებამოსილების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტაციის ადგილზე შესწავლისას ასევე გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს საკვალიფიკაციო კომისიას, რომლის საქმიანობის ფარგლებში განიხილება პროფესიული სტუდენტების მონაცემები, სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მზადდება კვალიფიკაციის მინიჭებისთვის წარსადგენი კანდიდატების სია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა დოკუმენტურმა ანალიზმა და ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პრაქტიკაში ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია ნაწილობრივ სცდება დამოუკიდებელი მონიტორინგისა და შეფასების როლს და მოიცავს ისეთი პროცესების განხორციელებაში მონაწილეობას, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი მოქმედებს პროცესის უშუალო მონაწილედ, მათ შორის საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის სტატუსით.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს პროცესების ეფექტიან მართვას, დამატებითი კონტროლის განხორციელებასა და ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, მსგავსი პრაქტიკა ქმნის ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ვერ უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციისა და საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას, რაც ეწინააღმდეგება ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ დამოუკიდებლობისა და როლების გამიჯვნის პრინციპებს.

შეფასების მტკიცებულებების შერჩევითი შესწავლისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა შეფასების დოკუმენტაციაში ადმინისტრაციული ხასიათის გარკვეული შეუსაბამობები, მათ შორის შემაჯამებელი შეფასებების არასრული ან არათანმიმდევრული ასახვა და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები შეფასების უწყისებში. ამასთან, დამატებითი მოკვლევისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული შემთხვევები არ უკავშირდებოდა პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიუღწევლობას და მათ რეალურად ჰქონდათ შესაბამისი შედეგები დადასტურებული. შესაბამისად, გამოვლენილმა ტექნიკურმა ხარვეზებმა გავლენა არ მოახდინა შეფასების საბოლოო შედეგებზე და არ წარმოშობდა გაცემული კვალიფიკაციების კანონიერებასთან ან სანდოობასთან დაკავშირებულ ეჭვებს.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა შეფასებით, გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს შეფასების ადმინისტრირების, დოკუმენტირების და შიდა ვერიფიკაციის მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროებაზე. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის განხორციელების პროცესში გამოვლენილი როლების გადაფარვა წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის რისკის შემცველ გარემოებას და საჭიროებს შესაბამის რეაგირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც არადამაკმაყოფილებელი.

ექსპერტთა რეკომენდაცია რეავტორიზაციის დასკვნის პროექტში იყო შემდეგი. განხორციელებულიყო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

• ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა სასწავლო პროცესის განხორციელებისა და საკვალიფიკაციო გადაწყვეტილებების მიღებისგან,უპირველესად ეს უნდა განხორციელდეს თანამდებობრივი ინსტრუქციის ცვლილებით;

• ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის როლის გადახედვა ინტერესთა კონფლიქტის სრულად გამოსარიცხად;

• შეფასების სისტემის, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების ადმინისტრირების პროცესების სისტემური გაუმჯობესებისათვის გაძლიერებული ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წინა ვიზიტისას გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულების მიერ განხორციელებული ღონისძიებები. შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე დაწესებულების მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ (დამტკიცებული №169 §47, ცვლილება განხორციელებულია 2026 წლის 13 თებერვლის №29 §19 ბრძანებით), რომლის საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი ორგანიზაციული და ფუნქციური ცვლილებები.

დოკუმენტაციის ანალიზმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ცვლილებები განახორციელა პროფესიული განათლების ცენტრის დებულებაში, ორგანიზაციულ სტრუქტურაში, პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობებში, აგრეთვე თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში. მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის პერსონალის პირადი საქმეები, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები და სამუშაო აღწერილობები.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 2 ივნისის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის ახალი შემადგენლობა, რომელშიც ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა აღარ იკვეთება . კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხოლო კომისიის წევრთა უფლებამოსილებები განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოფილია ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია.

დოკუმენტების შესწავლისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი აღარ მონაწილეობს პროფესიული მასწავლებლების მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო ლიტერატურისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

და სასწავლო მასალების განხილვისა და სწავლების პროცესთან მათი შესაბამისობის დადგენის (ვალიდაციის) პროცედურებში, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კვალიფიკაციისა და ცოდნისა და უნარების დადასტურების პროცესში. აღნიშნული ფუნქციები გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებზე, ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის უფლებამოსილებები კონცენტრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებზე.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული ფუნქციების უწყვეტი და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ გააძლიერა ადამიანური რესურსი.განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად შესაბამისი ფუნქციების შესრულება დაევალა ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერს, რაც უზრუნველყოფს როგორც სამუშაო პროცესების უწყვეტობას, ისე ფუნქციების ოპტიმალურ გადანაწილებას.

დოკუმენტაციის ანალიზმა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ხოლო ფუნქციების განაწილება პრაქტიკაშიც შეესაბამება განახლებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ განხორციელებულმა სტრუქტურულმა, ფუნქციურმა და საკადრო ცვლილებებმა უზრუნველყო წინა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრა. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია განხორციელებულია დამოუკიდებლად და გამიჯნულია იმ პროცესებისგან, რომელთა შეფასებაც შემდგომში თავად უნდა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ. ამასთან, ადამიანური რესურსების გაძლიერებამ და ფუნქციების მკაფიო გადანაწილებამ უზრუნველყო პროცესების უწყვეტობა, ინტერესთა კონფლიქტის რისკების შემცირება და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.1.1.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აწსუ შინაგანაწესი (აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით № 47 24/25) 03.07.2025);
- აწსუ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურებით ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

· აწსუ სტრუქტურით;

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით№44 25/26 06.05.2026);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის სტრუქტურით;

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესით (აწსუ რექტორის ბრძანება № 01-04 /42 30.06.2022);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობით (აწსუ რექტორის ბრძანება №01-05 /394 06.05.2026);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციებით (აწსუ რექტორის ბრძანება №01-04/ 44 06.05.2026)

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ (HR Policy), „უნივერსიტეტის შინაგანაწესის“ (N47 (24/25)), შრომითი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს პერსონალთან დაკავშირებულ ძირითად პროცესებს და განსაზღვრავს თანამშრომელთა უფლებებს, მოვალეობებსა და შრომითი ურთიერთობების მართვის წესებს. აღნიშნული დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების, უფლებებისა და ვალდებულებების, შრომითი დისციპლინის, შეფასებისა და პროფესიული განვითარების ძირითად წესებსა და პროცედურებს. შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობების ორგანიზებას, სამუშაო დროის რეჟიმს, ქცევის ნორმებს, პასუხისმგებლობის ფორმებსა და შრომითი დისციპლინის დაცვის მექანიზმებს, ხოლო პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის მართვის პროცესების ერთიან ჩარჩოს, მათ შორის შერჩევის, აყვანის, შეფასებისა და განვითარების პრინციპებს. დაწესებულებაში მოქმედი შიდა რეგულაციები პერსონალისთვის ხელმისაწვდომია და გამოიყენება პრაქტიკაში, რაც ადასტურებს პერსონალის მართვის პროცესების სისტემურობასა და სამართლებრივ შესაბამისობას. შესაბამისად, უნივერსიტეტში პერსონალის მართვის პროცესები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ შიდა წესებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად და მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს: ვაკანტური პოზიციის გამოცხადებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას, კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას, გასაუბრებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემოწმების ჩატარებას, შერჩევის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებას და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას.

უნივერსიტეტში მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქციები თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრავს აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების ობიექტურ, სამართლიან და ერთიანი კრიტერიუმების საფუძველზე შეფასებას.

პროფესიული განათლების მიმართულებით მასწავლებელთა შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანდიდატის დარგობრივ კვალიფიკაციას, შესაბამის პროფესიულ გამოცდილებასა და პროფესიული განვითარების ან გადამზადების დამადასტურებელ დოკუმენტებს, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (EQE), უნარების სააგენტოსა და ATSU Professional Center-ის მიერ გაცემულ სერტიფიკატებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შერჩევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატის პროფესიულ კომპეტენციასა და ვაკანტური პოზიციის მოთხოვნებთან მის შესაბამისობას. მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება დოკუმენტურად და აისახება შერჩევის კომისიის ოქმებში. თანამშრომელი უფლებამოსილების შესრულებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაეცნობა შრომითი ხელშეკრულების პირობებს, თანამდებობრივ ინსტრუქციასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესს, რაც დამატებით უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა მკაფიოდ არის გაწერილი უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. არსებული პრაქტიკა და ექსპერტული შეფასებები ადასტურებს, რომ შერჩევის პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო გავლენის გარეშე.

ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი ფლობს იმ კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ დაკავებული თანამდებობების მოთხოვნებს. პროფესიული განათლების ცენტრში აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფილია თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული და დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სადაც განსაზღვრულია აუცილებელი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, მათ შორის განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება, ცოდნა და შესაბამისი უნარები.

პროფესიული განათლების ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შედარების საფუძველზე დადასტურდა, რომ თითოეული თანამშრომელი სრულად აკმაყოფილებს მისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს.

პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატების პროფესიულ კვალიფიკაციას, სამუშაო გამოცდილებასა და პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული განათლების ცენტრის საქმიანობის ეფექტიან, კომპეტენტურ და ხარისხის სტანდარტებზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის მართვის სისტემა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობის, მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას უნივერსიტეტის საქმიანობაში და საერთო ინსტიტუციური მიზნების ეფექტიანად განხორციელებას.

ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კოლეგიურ ფორმატში. პროფესიული განათლების ცენტრში რეგულარულად იმართება სამუშაო შეხვედრები, რომლებიც, ადმინისტრაციის განმარტებით, ტარდება არანაკლებ კვირაში ერთხელ. აღნიშნული შეხვედრები წარმოადგენს თანამშრომელთა ინფორმირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის მნიშვნელოვან მექანიზმს. თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, წარადგინონ ინიციატივები და მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე საქმიანობისა და სამომავლო განვითარების საკითხების განხილვაში.

გუნდური თანამშრომლობა პროფესიული განათლების ცენტრის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა ამოცანისა და პროექტის განხორციელება ხშირად მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფების ფორმატში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის გაზიარებას, პრობლემების ერთობლივ ანალიზსა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში დანერგილი მონაწილეობითი მართვის პრაქტიკა და გუნდურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა ქმნის თანამშრომელთა მაღალი ჩართულობის, პასუხისმგებლობის გაზიარებისა და მოტივაციის ზრდის საფუძველს. აღნიშნული მიდგომები სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.1.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

· აწსუ შინაგანაწესი (აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით № 47 24/25) 03.07.2025);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

· აწსუ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურებით (2018 წელი);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით №5 24/25 11.09.2024);

· https://atsu.edu.ge/ge/vocational/docs

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის სტრუქტურით;

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესით (აწსუ რექტორის ბრძანება № 01-04 /42 30.06.2022);

· https://atsu.edu.ge/ge/vocational/docs;

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობით (აწსუ რექტორის ბრძანება №01-05 /394 06.05.2026);

· აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციებით (აწსუ რექტორის ბრძანება №01-04/ 44 06.05.2026)

· აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შესახებ ბრძანება 01.04.51 (02/06.2026)

· სტრატეგიული გეგმა;

· სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 13.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----